



წელიწადი მესამე

წელიწადი მესამე

სამეურნეო უზრუნველყოფის

გოგონა



აკრილი 14.

№ 8.

შინაარსი:

ს. ხუნდაძე.....	ყინვა და ვენახი.....	3
ვ. რცხილაძე.....	მოკლე დარბევა აშერკული ბამბის თესვა-მოყვანის შესახებ. (ნ. ტარატინოვისა).	4
მლ. ალ. ჯალიაშვილი.	შეფუტკრეს კალენდარი. მარტი.....	12
განცხადება.....		16

სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წასუფ წელს ჟურნალში დაიბეჭდა წერილები შემდეგი პირებისა: — ანოშვილი ვ., ანაზდუელი, ახალია ი., ბერეკ. შვილი კ., გულბათიშვილი ვ., გვარამაძე კ., გორთამაშვილი ვ., ელილაშვილი ზ., ვაჭრიშვილი ვ., თაქთაქიშვილი გ., თოიძე გ., იოსელიანი ე., კანელიძე ს., კარბელაშვილი ელ., კარაღელი ვ., ხანაბელი ა., მდივანი დ., მჭედლიშვილი ვ., ნახუცრიშვილი გ., ონიკოვი კ., როლოვი ა., რცხილაძე ვ., რცხილაძე ს. გ., რცხილაძე ს. გ., ფურცელაძე ი., ფალავანდიშვილი დ., ქუთათელაძე ი., ქათამაძე ვ., ქარცივაძე მ., ყიფიანი პ., ჩივაძე გ., ცხადაძე გ., სუნდაძე ს., შავლიფეი პ., ჯანაშვილი მ., ჯიქია ლ., კანელი მევენახე, სემიონოვი ექიმი.

რედაქცია მოელის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

თანამშრომელთა საშუალებად.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევეს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორექსონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზით არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შეუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შექმნა-გასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **ორი შაური**.

წლიური აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციისთან **შეთანხმებით**.

განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

რედაქცია ჟურნალის ხელისმომწერლებს წლის დამლევეს **გაუგზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას** მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

ჟურნალი წელიწადში ღირს 3 მანეთი.

რედაქციის ადრესი: Тифлиς, Барятинская, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი **З. ი. რცხილაძე**



ყინვა და ვენახი

გასულ ცივ ზამთარს, როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრ ადგილას დაუზარალებია ვენახები. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოდის ცნობა— ალაგ-ალაგ ვაზები დაძრულიაო.

ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაუწიოთ. ვაზს დიდი სიცივის ატანა არ შეუძლიან. იქ, სადაც ხანგრძლივი სიცივე—10⁰ აღემატება, —ვენახს მიწაში მარხავენ. შვიდი-რვა-ათი გრადუსი სიცივეც ვაზს აწუხებს, შემოუსვლელი რქები ადვილად იყინება. ორ-სამ დღეს ვაზი გაუძლებს 10—15 გრადუსამდე სიცივესაც, ხოლო თუ ამ სიცივემ 7—10 დღე და მეტი გასტანა, მაშინ ვაზს ამაზე მცირე სიცივეც ადვილად გააფუჭებს. მე მგონია, ეს უკანასკნელი გარემოება უნდა იყოს მიზეზი, რომ ჩვენს თბილ მხარეში, სადაც ვენახის გაყინვა ძალიან ძვირი მოვლენაა, გასულმა ხანგრძლივმა მშრალმა ზამთარმა ვაზები დააზიანა.

ვენახში, რომელიც ხშირად ირწყვება, ვაზი წყალითაა გაყენილი, კანი თხელი აქვს და ფუყი. ასეთ ვაზებს უფრო ადვილად აფუჭებს მცირე მაგრამ ხანგრძლივი სიცივე.

თუ სიცივე ძლიერია, მაგალითად 20 გრადუსამდე ავიდა, მაშინ ვაზი ძირამდე იყინება.

იქ, სადაც დიდი სიცივეები იცის, როგორც ზემოთა ვსთქვით, ვაზს მიწაში მარხავენ. ეს სამუშაო ასე კეთდება: რთვლის შემდეგ დედა-ვაზს შემოაცილიან იმ რქებს, რომლებიც სრულებით საჭირონი არ არიან, დანარჩენებს კი ცოტათი დაამოკლებენ, შემდეგ ვა-

ზის ძირს ირგვლივ შემოუთხრიან მიწას, რომ უფრო ადვილად გადაწვეს ვაზი, ერთ რომელიმე მიმართულებაზე გასკრიან არხს, ჩააწვენენ ამ არხში მთელ ვაზს თავისი რქებით და დაყრიან ზედ მიწას, დამარხავენ ვაზს. გაზაფხულზედ, როდესაც ყინვების შიში გაივლის, წაყრილ მიწას გადააცილიან ფრთხილად, ააყენებენ ვაზს და როგორც რიგია, გასხლავენ.

როგორ უნდა მოვიქცეთ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ზამთრის სიცივემ ჩვენს ვენახში ვაზი დააზარალა? თუ ვაზი ძირიანად არის გაყინული და ერთიანად ხშება, მაშინ რაღა თქმა უნდა, ვენახი ახლად უნდა გაშენდეს. ხოლო ჩვენში ძნელი მოსალოდნელია ასეთი შემთხვევა. უფრო ხშირად მართო რქები იყინება ხოლმე, ვაზის ტანი კი ცოცხალია, ტანიც რომ დაზიანებული იყოს მაღლა, მიწის პირად მაინც ცოცხალი იქნება. ჩვენც შემთხვევისადაგვარად უნდა მოვიქცეთ. როდესაც კვირტი გაიშლება იმის შემდეგ ადვილად გავარჩევთ ყინვისაგან დაზარალებულ ვაზს. ასეთი ვაზი არამც თუ არ იღვიძებს, ახალ ნაკეპნიდანაც კი აღარ იცრემლება.

როცა დავრწმუნდებით, რომ ვაზი საიმედო აღარ არის, უნდა იგი გავაახლოდ, ესე იგი მიწის პირათ სწორედ უნდა გადავსკრათ. შემთხვევითი კვირტებიდან ვაზი ღონიერ ყლორტებს დაიხეთქვას, აქედან საჭირო რქებს გავზრდით, ფორმას გავაკეთებთ და ვენახი გამობრუნდება. ამ შემთხვევაში ნაყოფს მხოლოდ მესამე წელიწადს მივიღებთ.



თუ ვენახში ნამყენი ვაზებია, იმ შემთხვევაში ვაზს მიწის პირათ გადავჭრით და ზედ ჩვენებურ ვაზს კალმით ვამყნობთ, რადგან უამისოთ მძინარე კვირტიდან ამოსული ყლორტი უჯიშო ამერიკული იქნება და საყურძნეთ არ გამოგვადგება.

თუ მარტო თითო წლის რქებია დაძრული, მაშინ საქმეს ადვილად ეშველება: ასეთი რქა ძალიან მოკლეთ, 1—2 კვირტზე უნდა გაისხლას, მძინარე კვირტებიდან ამოხეთქილ ყლორტებიდან საჭირო რქებს გავზრდით და მოსავალიც მეორე წელიწადს უზრუნველყოფილი იქნება.

უთუოდ გავონილი გექნებათ თუ რადიდი ზარალი მოაქვს ვენახისათვის თრთვილს გაზაფხულზე, როცა ვაზს ნორჩი ყლორტები აქვს აყრილი. მზის სითბო დახედავს თუ არა ვაზს თრთვილის შემდეგ, მისი ფოთოლი, ყლორტი დაიკრუნჩხება ხოლმე, შავდება და ხმება. თუმცა ვაზი იმ წელსვე ახალ ყლორტებს ამოიტანს, მაგრამ ყურძენს კი მაინც ვეღარ მოისხამს.

ამ ზარალის ასაცდენად გამოცდილი მევენახეები გვირჩევენ:

1. ვაზი გვიან გაზაფხულზე გავსხლათ, გვიან დავაკაოთ;

2. ისეთი ჯიშის ვაზები გავაშენოთ რომლებიც გვიან იღვიძებენ;

3. რკინის ჟანგარო უნდა მოვამზადოთ 2—3 პროცენტისანი და ის წაუსვათ ვაზს და სხვ.

ჩემის აზრით ვაზის გვიან გასხვლა შეიძლება; აგრედვე საცა თრთვილი ხშირად იცის, რკინის ჟანგაროს წასმაც მოუხდება. საგვიანო ჯიშის ვენახის გაშენება კი, ბევრი მიზეზებისაგამო, არ არის გამოსადეგი

ძალიან კარგი საშუალება გახლავთ, როგორც ვაზისათვის ისე ხეხილისათვის და მინდვრის მოსავლისათვისაც **დაბოლება**. მხოლოდ სასურველია ყველა მეზობლებმა თანხმობით იმოქმედონ, ერთი მეორეს დაეხმარნენ. ვენახში, ბაღში რამდენიმე ალაგას: კუთხეებში, შუაგულზე (რამდენიც შედგან იქნება, სჯობია) დაგროვებული გექნებათ დამბალი თივის ბულულები, სველი ბალახი, ფუტურო ხეები, წალამი, ნამჯა და სხვ.

როდესაც შევატყობთ რომ საღამოთი ცა მოიწმინდა და სიცივეს აპირებს, მაშინ ავანთებთ ამ ბულულებს და ვეცდებით ბოლი დავაყენოთ ყველა მეზობლებმა ერთად. ბოლი ვენახს ზევიდან გადფინება, მიწის სითბოს აღარ აუშვებს მალლა და თრთვილსაც თავიდან ააცდენს ვენახს.

ს. ხუნდაძე

მოკლე დარიგება ამერიკული ბამბის თესვა-მოყვანის შესახებ

(დასასრული*)

ნათესის მოვლა-დამუშავება

თუ ნახნავის ზედაპირი მორწყვისაგან ან წვიმებისაგან შეხმა-შეიკრა ისე

რომ ბამბის ჯეჯილს ვეღარ ამოუხეთქია მალლა, მაშინათვე ეს შემხმარი ზედაპირი უნდა დაუყოვნებლივ გაფხვიერდეს აოხით ან სათროცლით.

*) იხილეთ „მოსავალი“, 7 №.

ბამბის მცენარე ჯგეჯილობაში ძლიერ მძიმედ იზრდება. ამიტომ ყოველი საშუალება უნდა ვიხმაროთ, რომ მცენარემ ტანი მალე აიყაროს. ერთი ან ორი კვირის ამოსული ჯგეჯილი უნდა შეთხელდეს, თუ ხშირია, გაითოხნოს-გაიმარგლოს, მოშორდეს შამბი-ბალახი, რომ ბამბის მცენარე მალე გათამამდეს. როდესაც თხელივ ბამბის ყანა, მაშინ თითოეული ძირი მცენარისა უფრო დიდი იზრდება, ტოტებსაც ბლომად იკეთებს და მით მოსავალიც მეტი მოაქვს.

როცა ბამბა ცალკე ბუჩქებათ არის ორმო-ორმო დარგული და არა წკრეხეა გაყოლებით დათესილი, ბუჩქი ბუჩქიდან ოთხივ მხრივ უნდა არა-ნაკლებ ერთ არშინზე იყოს დაშორებული, რომ თუ თოხის მაგივრად ცხენის გუთანს ან სამარგლავ მაშინას ვამუშავებთ ყოველი მხრიდან მიუღდგეს ბუჩქს. თითოეული ბუჩქი უნდა შესდგებოდეს ერთი ან ორი ძირი მცენარისაგან, რადგან სამი ძირი ერთ ორმოდან ამოსული ველარა თავსდებიან ერთად, ერთიერთმანეთს უშლიან გაზრდას და გამოსავალიც მცირდება.

ყოველ შემთხვევაში ბამბა რამდენჯერმე უნდა გაითოხნოს-გაიმარგლოს მთელი ზაფხულის განმავლობაში, რომ არც ბალახი მოერიოს და ნიადაგის ზედაპირიც მუდამ გაფხვიერებული იყოს ერთი ვერშოკის სიღრმეზე დაახლოებით, რადგან მხოლოდ ესე დამუშავებულ ნიადაგს ეძლევა უხვად ჰაერი, ენახება სინესტე, ჩაატანს შიგმზის სითბო-სინათლე და ყველა ეს ხელს უწყობს მცენარის განვითარებას და მის ნაყოფიერებას.


თუ ბამბა წკრეხეა დათესილი, ნიადაგის დამუშავება—გამარგვლა, გაფხვიერება, რალა თქმა უნდა, უფრო იაფად დაჯდება მაშინ, როცა თოხის მაგივრად სამარგლავ მაშინას ვამუშავებთ ცხენით ან ხარებით. ერთი ესეთი მაშინა 20 მთოხნავს უდრის დღეში. ვისაც ცხენი არა ჰყავს, უღელი ხარი შეუძლიან შეებას ამ სამარგლავში, მხოლოდ უღელი ისეთი გძელი უნდა დაადგას ხარებს, რომ სამ კვალს სწვდებოდეს: აქეთ-იქით კვლებში ხარები გაავლიან და შუა კვალზე სამარგლი მაშინა მიჰყვებათ.

ესეთი სამარგლი მაშინა როგორც ბამბის ისე სიმინდის, ვენახის გათოხნაშიაც შეიძლება ვიხმაროთ და უფრო ვაცილებით იაფად დაგვიჯდება მუშაობა, ვიდრე როცა ხელითა ვთოხნით. თითო ესეთი სამარგლი მაშინა ღირს 20--25 მანეთი. ვისაც სურს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დახმარებით შეუძლიან შეიძინოს.

წკრეხე დათესილ ბამბაში სამარგლავი მაშინით მარტო კვლების შუაგული ადგილი შეიძლება გაფხვირდეს, აქეთ-იქით ნაპირებზე მცენარის ძირებთან კი ისევ თოხით უნდა გამოითოხნოს, რასაც, ცხადია, ბევრით ნაკლები მუშა დასჭირდება, ვიდრე პირაღებით რომ გაითოხნილიყო.

მთოხნავი მუშა სრულიად საჭირო აღარა ხდება მაშინ, როცა ბამბა ორმო-ორმოა დარგული და ბუჩქი ბუჩქიდან ოთხივ მხრივ არა ნაკლებ ერთ არშინზეა დაშორებული. აქ სამარგლი მაშინა გარდი-გარდმოც გაივლის და აღმადამაც და მთელი ნიადაგი დამუშავდება უთოხოთ.

ვიდრემდისინ ბამბის ტოტები გაემებიან ერთმანეთში ნიადაგი უნდა სა-



მარგლი მაშინით ან თოხით გაუფხვიეროთ ხოლმე, 2—3 კვირის განმავლობაში ერთხელ მაინც, მორწყვის ან წვიმის შემდეგ, როცა შეშრება იმდენად რო აღარ ილაფებს.

ბამბის თავების გადაჭრა ანუ გადაკვერცხა

რომ ბამბის ყანა მალე შემოვიდეს და გამოსავალიც ბლომად ჰქონდეს, უნდა ბამბის ღეროებს, როცა სამი ჩარეკის ან ერთი არშინის სიმაღლე დაიზრდებიან, თავები გადაეჭრათ. მხოლოდ ეს მუშაობა უნდა თიბათვის პირველ ნახევარშივე ან ამ თვის გასვლამდე მაინც უსათუოდ გათავდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ბამბა დამწიფებას ვეღარ მოასწრობს და ამგვარად თავების გადაკვერცხა ავნებს და არა არგებს მოსავალს.

ავადმყოფობა და მტრები

ამიერ კავკასიაში ბამბა უფრო ხშირად **ჟანგაროთი** ხდება ავად. ამ სატკივარ სენით დაავადებულ მცენარეს ჯერ ფოთლები უწითლდება—უმუქდება ჟანგის ფად, მერე ღერო და შემდეგ ნაყოფიც. ფოთოლი და ნორჩი ნაყოფი სცივია; წინად გამოტანილი, გადაშლილი უკვე პარკი კიდევ აღარა მწიფდება და ხმება. ეს ავადმყოფობა უფრო მაშინ უჩნდება ბამბას, როცა წყალი ჩაუდგება ნიადაგს ზომასზედ მეტად ან სინოყივრე გამოვლევა მას, ერთი სიტყვით როცა დამუშავება წესიერად არ ხდება. მაშასადამე **ჟანგაროს** ასარიდებლად უპირველესი საშუალება **ბეჯითი მოვლა-პატრონობა** ყოფილა კინახულისა. ჟანგარო უჩნდება ბამბას ცხელს გოლვიან ზაფხულში, მეტადრე როცა სიცხესა და

გოლვას თანა სდევს ზაფხულის მშრალი ქარიც.

ჟანგაროთი დაავადებულ ბამბის ფოთოლს ქვემოთა ზედაპირზე უჩნდება ტკირბა, რომელიც სწოვს ფოთლის წვეს და უსწრაფეს მცენარეს სიცოცხლეს. ამ ტკირპირს წინააღმდეგ ერევის გუბერნიაში ეს ორი-სამი წელიწადია გოგირდით წამლობა შემოიღეს, გოგირდს აყრიან ისე როგორც ჩვენ ვენახს შევყრით ხოლმე ნაცრის წინააღმდეგ. თუ გოგირდი დილაადრიან, როცა ბამბას ჯერ ისევ ნამი აქვს, მაშინ შეეყარა და შერჩა ზედ, წამლობას კარგი შედეგი მოაქვს.

უცბარი წამალი ხსენებულ ტკირპის წინააღმდეგ არის:

- შვინფურტის მწვანე ფხვნილი 1 გირ.
- წყალდაუსხმელი კირი 2 „
- გოგირდი 6 „

ყველა ეს უნდა აირიოს ერთმანეთში და ისე შეეყაროს. ხოლო ესე წამლობა დესეტინაზე 15 მანეთამდე ჯდება, მარტო გოგირდით რომ უწამლოთ კი—7—8 მანეთი.

რადგან ამ წამალს კირიც ურევია, ამიტომ იგი მეორე გვარ ავადმყოფობის ეგრედწოდებულ **სიყვითლის** (ანტრაკნოზი) წინააღმდეგაც კარგად მოქმედობს.

სიყვითლემ შარშან ბორჩალოს მაზრაში თითქმის ერთი მეხუთედი მოსავალი ბამბისა გაათუქა ზოგან.

როცა სიყვითლემ ბამბის ნაყოფს გაუჩნდება, უნდა ბამბის პარკს წყალდაუსხმელი კირი შეეყაროს ისე როგორც გოგირდს შევყრით ვახებს

სხვა მტრებიდან ბამბას აზარალებს ხშირად ერთგვარი კია, რომელიც



უჩნდება ბამბის ნაყოფს და სჭამს მას, მეტადრე ნორჩობაში. ეს ჭია მრავლდება უფრო მაშინ როცა ბამბა უხვად ირწყვება.

ცივს ნესტიან ჰავაში ბამბის ფოთოლს ქვემოთა ზედაპირზე ერთგვარი წვრილი მატლი ეხვევა, რომელიც ძნელადღა შორდება, თუ მეტადრე ცივი თიხნარი ნიადაგია და ბამბას მოჭარბებით რწყავენ. ეს მატლი ძრიელ აფერხებს ბამბის შემოსვლას-დამწიფებას. ამ მატლის წინააღმდეგ ხმარობენ შემდეგ სასხურებელ წამალს:

- კვასია. 4 გირ.
- საპონი 2 „
- წყალი. 10 ვედრა

წამალი უნდა მომზადდეს ასე:

4 გირ. კვასიას უნდა დაესხას 3 ვედრა წყალი და არა-ნაკლებ 2 საათი აღულოთ. შემდეგ 2 ვედრა წყალში უნდა გაიხსნას 2 გირ. საპონი და ორივე ხსნილი გადერიოს ერთმანეთში და დაემატოს ზედ 5 ვედრა წყალი.

შესხურება ამ წამლისა მაშინ არის ზოლმე საჭირო, როცა ბამბა ჯერ ისევ პატარაა, რამდენიმე ვერშოკი აქვს სიმაღლე, და ამიტომ ბევრი წვალება უნდება რომ წამალი ფოთლის ქვემოთა ზედაპირს მოხვდეს, სადაც მატლი ზის.

თესლის გადარჩევა

თესლის არჩევას ძრიელ დიდი მნიშვნელობა აქვს. ყოველწლივ რომ თესლი შიგარჩევით აიღებოდეს, ე. ი. რომ უფრო მსხმოიარე, ადრე დამწიფებულ ბუჩქიდან იღებოდეს კურკა და მასთან მთელი ბარდიდან კი არა, არამედ მის შუაწელიდან ან დაბლითა ტოტებიდან, სადაც უფრო ყველაზე

მსხვილი და კარგად დამწიფებული კვებია, მაშინ ბამბის მოსავალს ღირსებაც ბევრით მაღალი მიეცემა და მოსავალიც უფრო ადრე შემოვა.

ყოველ შემთხვევაში თესლი უნდა აიღებოდეს ბუჩქის დაბლითა ან შუა ტოტების პარკებიდან, რადგან ესენი უფრო ადრე მწიფდებიან. ბუჩქის ზევითა ნაწილში პარკი საკმარისად არ არის ხოლმე შემოსული და კურკა ძალიან წვრილი და საზოგადოდ დაბალი ღირსებისა გამოდის.


დასათესად ის თესლი სჯობია, რომელიც იმისთანავე ნიადაგში და ჰავაში არის მოყვანილი, როგორშიაც ვთესავთ.

თესლის სეიდვა

თუ იძულებული გავხდით ბამბის თესლის სეიდვას, უნდა ვიყილოთ კარგად გადარჩეული, შემოსული თესლი იმათიდან, ვისაც წესიერად აქვს ბამბის ყანა მოვლილი-დამუშავებული.

ამიერ კავკასიაში და თურქისტანშიაც საუკეთესო თესლად, რომელიც ადრეც შემოდის და 3--6 პროცენტით მეტ ძაფს იძლევა, არის ზემოთ უკვე ხსენებული თესლი „კინგ“.

ვისაც ამ თესლის შეძენა უნდა, მან უნდა მიმართოს სახელმწიფო საბამბრეს, რომ არ მოტყუდეს, რადგან ცხლა ბამბის თესლი „კინგ“ შედარებით კარგ ფასებში იყიდება და ყველა ჩარჩი-გამყიდავი თავის თესლს „კინგ“-ს უწოდებს, როგორადაც ყოველი სირაჯი თავის ღვინოს „კახურს“ ეძახის. არას დროს არ უნდა იყილოთ თესლი ზაოდრიდან, რადგან იქ ყველა მხრიდან მოტანილ ბამბის კურკას კარგსა და მდარეს ერთად ურევენ და შეიძლება



ისეთი თესლი შემოგაჩენონ, რომ როცა დასთესავთ, სრულებით არც კი ამოვიდეს.

ეხლა თურქისტანში ზაოდებზე სათესლე ბამბის კურკა 80—90 კაპ. იყიდება ფუთი. ვაგონებით გამოწერილი აქ ჯდება მოტანითა და მეშოკებიანად ფუთი 1 მან. და 60 კაპ.

არავის არ ვურჩევთ თესლის გამოწერას არც ამერიკიდან და არც ეგვიპტედან, რადგან იქაურმა თესლმა შეიძლება რომელიმე მძიმე სატიკვარი მოიყოლოს ან არა და უფრო უარესი მტერი—**მექსიკის ცხვირ-გრძელა ხარაბუზა** მოჰყვეს თან და ბამბის თესვა-მოყვანას მთელ რუსეთში ბოლო მოეღოს.

ნიადაგის გამოფიტვა

ისე მცირედად არც ერთი მცენარე არ აღარბებს ნიადაგს როგორც ბამბა, თუ კი კურკას ბამბისას და ღერონამჯას უკანვე დაეუბრუნებთ ნიადაგს, ე. ი. დაეწვავთ ბამბის ნამჯას და ნაცარს ნაბამბარ მინდორს მოვაყრით და აგრედვე იმ სასუქით, რომელიც მიიღება ბამბის კურკით გამოკვებილ ცხოველებისაგან, იმავე ნაბამბარ ადგილს გავაპატივებთ.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ ნიადაგს, რომელმაც ბამბა მოიყვანა, უკან აღარას მივცემთ აღარც მცენარის ნამჯას, არც კურკას და სხვა, მაშინ ნიადაგი მალე გამოიფიტება და მოსავალსაც აღარ მოგვცემს კარგს.

სწორედ ასე მოხდა ერევნის გუბერნიაში, სადაც მიწა ბამბის გამუდმებული თესვით გამოიფიტა, გაღარიბდა და ეხლა ვეღარც მოსავალი მიუღიათ

კარგი და ჯანგაროც ხშირად ნიადაგს ხოლმე იქაურ მინდვრებს.


ჩვენში საზოგადოდ ნაბამბარი ადგილები მალე იფიტებიან, რადგან რასაც ნიადაგი იძლევა—ძაფი გინდა, კურკა თუ კურკის ჭაჭა-ჩენჩო, სულ რუსეთში და საზღვარ-გარედ მიდის, აქ კი საქონელი შიმშილით იხოცება. ამიტომ თუ გვინდა რომ ნაბამბარ მინდვრებს ძალა არ გამოეღიოთ, უნდა ბამბის თესლის საზღვარ-გარედ გატანა აკრძალული იქმნეს; მაშინ კურკა აქ დატრიალდება, დაიფდება, აქაურ საქონელს დარჩება საკვებავთ და იგივე მინდვრებს მიეცემა სასუქათ; თორემ ეხლა ამ საქმით დიდი ფულისა და ზაოდების პატრონები კიდევ უფრო მეტად მდიდრდებიან და ჩვენი ქვეყანა კი უარესად დატყავდება.

ნიადაგის გაპატივება

რომ ბამბის მოსავალმა არ კი იკლოს, პირიქით იმატოს, რომ ნიადაგი არ გამოიფიტოს, არამედ უფრო გასუქდეს—გაღონიერდეს, ნაბამბარ ადგილებს პატივი უნდა მიეცეს.

პატივად ანუ სასუქად ყველას სჯობია **ნებვი** წვრილი და მსხვილი რქიანი და ურქო საქონლისა. კარგია სასუქად აგრედვე **ნაცარი, კირი** და **ლამი** სარწყავ არხებისა, რომელშიაც სხვადასხვა ორგანიული ნივთიერებანი არიან დამდნარ-დაშლილნი, და რომელნიც აფხვიერებენ, ათბობენ ნიადაგს, ბამბის მცენარეს ჰმატებენ ნაყოფიერებას და ნაყოფის ადრე დამწიფებას ხელს უწყობენ.

ხელოვნურ სასუქებიდან ნაბამბარს ყველაზე მეტად ესაჭიროება ფოსფორმჟავიანი სასუქები ნაყოფის ადრე დასამ-



წიფებლად და აზოტიანი სასუქები სხმოიარობის გასაძრელებლად.

ბამბის მორიგობით თესვა

როდესაც ერთდღივივ ადგილზე რამდენიმე წელიწადი ბამბა ითესება განუწყვეტლივ და თან სასუქიც არ ეძლევა ნიადაგს, ეს უკანასკნელი მალე იფიტება და მოსავალიც თვალსაჩინოდ კლებულობს. რომ ეს არ მოხდეს საჭიროა ბამბა **მორიგობით** ითესებოდეს. მორიგობით თესვაში ბამბაც მეტ მოსავალს მოგვცემს და სხვა მორიგი მცენარენიც მეტ გამოსავალს მოიცემა.

ყველაზე უმჯობესია ბამბა ითესებოდეს იონჯის და სხვა სათიბი ბალახების შემდეგ, ბრინჯისა და ბოსტნეულ მცენარეების შემდეგ.

ბამბის შემდეგ საუკეთესოდ ხარობენ ხორბლეული მცენარეები: პური, ქერი, სიმინდი და სხვა.

ქარის არიდება

სადაც ზაფხულში დიდი ქარები იცის, იქ ბამბა ყუდრო ადგილებში-გორების კალთებში, ტყის პირში, ღობის მოფარებით უნდა დაითესოს, რომ ქარს აერიდოს.

საქონლის არიდება

საქონლის ასარიდებლად რომ ბამბა არ მოძოვონ ან ფეხით არ გააფუქონ, უნდა ბამბის ყანას სანაპიროებზე გაყოლებით ორი-სამი წყრე **გენაგერჩაქი (აბუსალათინი)** ჩაეთესოს. ამ მცენარეს არცერთი ცხოველი არ ეკარება და მით ბამბის ყანაც დაცული იქნება მოძოვნა-გაფუქებისაგან.

ბამბის დაკრეფა

ბამბა უნდა დაიკრიფოს შემოსული, მშრალი, გადახსნილი პარკისა.

რადგან ყველა პარკები ერთბაშად არ მწიფდებიან, ამიტომ ბამბას დადენიმე ჯერად კრეფავენ.

პირველად დაკრეფილი ბამბა არ უნდა ერეოდეს მეორედ, მესამედ დაკრეფილს და მასთან ყოველ დაკრეფაზე კარგად შემოსული პარკი ცალკე უნდა გადაიჩრეს თესლის ასაღებათ.

პარკის გამწვევება და შენახვა


დაკრეფილი ბამბა უნდა მშრალს უნესტო საფარში ინახებოდეს. ჰაერი **საბამბეში** თავისუფლად უნდა მუშაობდეს, არ იყოს დახშული, რომ ბამბა არ ჩახურდეს, რადგან ჩახურებული ჩანესტიანებული ბამბა მუქდება, ფასი ეკარგება, თესლი უღაპება ან უშავდება ყავის თესლის ფრად და აღარაფრისათვის გამოსადეგი აღარ არის.

გამწვევება ბამბისა შენახვამდე ათეთრებს ალამაზებს ბამბის ძაფს, რის გამო მზეზე გჭმშრალი ბამბა უფრო მეტ ფასში იყიდება.

ბამბის კურკა, როგორც საკვებავი ცხოველებისათვის და სასუქი მიწებისათვის

ბამბა თავის დღეში არ უნდა გაიყიდოს კურკა-გაუცლელი. კურკა უნდა პატრონმა დაიტოვოს შინ გამოსაყენებლად. კარგად შემოსული, დამწიფებული კურკა ბამბისა უნდა სათესლეთ გადაიჩრეს, დანარჩენი—საქონლის საკვებავად და ნაბამბარი მიწების გასაპატივებლად.

ბამბის კურკას აჭმევენ ხარს, კამბეჩს, ძროხას, ხორებს, ცხვრებს. თითო სულს სხვილფეხა ცხოველს აძლევენ დღეში 3-4-5 გირვანქა კურკას; ხბოსა და ცხვარს—თითო გირვანქას; მეწველე ძროხას 3 გირვანქაზე მეტი არ



უნდა მისცეთ, რადგან რძეს გაუუგემურებს.

ბამბის კურკა საქონელს ასუქებს-ალეშიანებს, აჯანიანებს, მერძვევ საქონელს რძეს უმატებს.

ზეთ-გამობდილი კურკის ქაჭა-ჩენჩო უფრო უშიშრად შეიძლება აჭამოს საქონელს, რადგან ეს ჩენჩო ისეთი მსუქანი აღარ არის, როგორც გამობდამდე და ამიტომ აღარც შიშია რომ საქონელს აწყინოს.

ამ ქაჭა-ჩენჩოთი ნიადაგის გაპატივებაც შეიძლება, რადგან მას აზოტიც ბლომად ურევია და ფოსფორის სიმკავეც, ხოლო ჯერ რომ საქონელს მიეცეს ეს ჩენჩო საკვებად და მერე საქონლისაგან მიღებული ნეხვი მოეყაროს ნიადაგს უმჯობესი იქნება.

ასე იქცევიან ნემენცები, ინგლისელები და ამერიკელებიც. ჩვენ კი ღრმად ვცდებით როცა ესეთი ძვირფასი ნივთიერება საზღვარ-გარედ გაგვაქვს სხვისა საქონლისა და მიწების გასასუქებლად და ამავე დროს ჩვენი საქონელი შიმშილით გვეხოცება ხშირად, მიწები იფიტება, ბამბის მოსავალი წლით-წლობით კლებულობს და თესლი ბამბისა თანდათან საშინლად ძვირდება.

კურკის გაცლა

ბამბას არჩევენ, ასუფთავებენ კურკისაგან განგებ ამისათვის გამოგონილ მაშინით, რომელსაც სახელად „კოტონ-ჯინი“ ჰქვია. დასარჩევი ბამბა უნდა კარგად იყოს გაშხმარი, კურკას რაკრაკი უნდა გაქონდეს კბილზე, როგორც კაკალს, წინააღმდეგ შემთხვევაში ხერხი აიხვევს-აისორსლებს, ძაფი გაწყვეტას დაიწყებს, კურკასაც

ბლომად შერჩება ზედ და ლოდ ჩაივლის.

ბამბის სარჩევი მაშინა კოტონ-ჯინი, მიხედვით იმისა რამდენი ხერხია შიგ 25—60 თუ 80, ღირს 300 მანეთი და მეტი. დღე-ღამეში ამ მაშინით 30—50—100 ფუთი სუფთა ბაშბა ირჩევა, რასაკვირველია, თუ ხერხებს ცხენი, ან წყალი, ან ორთქლის მაშინა ამოძრავებს.


სადაც ესეთი მაშინები ცოტაა, მათი სყიდვა-შეძენა კომერციულის აზრით მეტად სასარგებლო ხდება, რადგან მაშინა ბამბის გარჩევაში თავის სასარგებლოდ ერთ მეოცედს, ერთ ოცდამეათედ ნაწილს გარჩეული ბამბისას იღებს და ხან თესლსაც ზედ მიაყოლებს ხოლმე. ამგვარად სარჩევ მაშინას იმდენი ქირა შემოაქვს, რომ ორი თვის განმავლობაში იგი მთელ თავის ფასს და სამუშაოდ დადგმა-გამართვის ხარჯს უკლებლივ გვინაზღაურებს.

ამიტომ დიდად სასურველია რომ ეს სარჩევი მაშინა თითონ სოფელმა შეიძინოს სადაც ბამბის თესვა-მოყვანას მისდევენ და სოფელსავე დარჩეს ის დიდი მოგება, რომელიც ამ მაშინის პატრონებს რჩებათ ბამბის კურკიანად შესყიდვით, მით უმეტეს რომ ამ გზით ბამბასაც იაფად ყიდულობენ ეს ჩარჩები და კურკაც თან მიაქვთ უფასოდ.

რამდენი ჯდება ბამბის მოყვანა

წესიერი თესვა-მოყვანა ბამბისა ამიერკავკასიაში დესეტინაზე თხოულობს დაახლოებით შემდეგ ხარჯს:

- 1. შემოდგომაზე მოხვნა გუთნით..... 10--15 მ.



- 2. გაპატივება ნეხვით, ნა-
კრით, კირით და სხვ... 8—10 „
 - 3. აჩეჩა ნახნაგისა გაზა-
ფხულზე..... 5— 6 „
 - 4. დაფარცვა დათესვის
წინად..... 2— 3 „
 - 5. დათესვა ხელით ან სა-
თესი მაშინით 5— 8 „
 - 6. დაკვალვა მოსარწყავად .2— 3 „
 - 7. გათხელვება-გამარგვლა. 8—12 „
 - 8. მორწყვა 3—4 ჯერ.. 3— 4 „
 - 9. გათოხნა თოხით.....25—40 „
 - 10. ნიადაგის გაფხვიერე-
ბა ცხენის საძარგლით.. 6—12 „
 - 11. გადაკვერცხა 2— 3 „
 - 12. დაკრეფა (50 80 ფუ-
თისა).....20—32 „
 - 13. კურკის გაცლა კოტონ-
ჯინით. 5 — 7 „
 - 14. მინდვრიდან შინ მი-
ტანა მოსავლისა..... 4— 5 „
 - 15. მიწის ღალა20—40 „
- სულ.....125—200 მ.

მუშის ფასი

ამ ბოლო წლებში მუშის ფასი თი-
თქმის ყველგან ამიერ კავკასიაში 50—60
კაპეკიდან 1 მანეთამდე, ხან 1 მან და
20 კაპ.-მდე, ხან მანეთნახევრამდენაც
ადის დღეში სხვადასხვა დროს წლის
განმავლობაში.

**რა ფასებში იყიდება ბამბა და
ბამბის თესლი**

უკანასკნელ ორ წელიწადს ბამბის
ფასმა ძალიან აიწია. კურკა-გაუტლე-
ლი ბამბა სამი მან.—სამი მან. და ათი
შაურიდან ოთხ-ოთხ ნახევარ-ხუთ მა-

ნეთამდე ავიდა ფუთი. თითო-
ფუთი გარჩეული ბამბის ფასმა 10 მანეთიდან
12—13 მან. თითქმის 14—15 მანე-
თამდე აიწია.

ესეთი ფასები იყო 1909 და 1910
წლებში ამიერ-კავკასიაში და შუა
აზიაში, ხოლო მოსკოვში და ლოდში
ბამბა ამაზე ზევით ფასობდა 1¹/₂—2
მანეთით, ე. ი. ფუთი დარჩეული ბამბა
იყიდებოდა 15—16, ხან 17 მანეთ-
შიაც.

ბამბის თესლიც აგრედვე: 1908
წელს ერთი ფუთი ბამბის კურკა
ზეთის გამოსახდელად 35—40 კაპეკი-
კად იყიდებოდა, 1909 და 1910 წლებში
ეს ფასი 50—60 კაპეკამდე ავიდა.

სათესლე კურკა ამ უკანასკნელ
ორ წელიწადში მანეთი-მანეთნახევარი
ფასობდა ფუთი, ხან უფრო მეტად,
2—3 მანეთში იყიდებოდა, ნამეტნა-
ვად როცა თესვის დრო იყო.

**რა შემოსავალს იძლევა ბამბის
თესვა**

მას აქეთ რაც ამ ორ უკანასკნელ
წელიწადში ბამბის ფასმა ძაან იმატა
ამიერ-კავკასიაში, ბამბის მოყვანას
ბევრმა მიჰყო ხელი, ბევრს აეშალა
საღერღელი.

როცა ერთი დესეტინა 10 ფუთ
დარჩეულ ბამბას იძლევა, ხარჯი თით-
ქმის იფარება; 15—20 ფუთ გამოსა-
ვალს თითო დესეტინაზე წმინდა მო-
გება 100—150 მან. რჩება; თუ 25 - 30
ფუთი სუფთა ბამბა ავიდა დესეტინაზე,
წმინდა მოგება 200 მან., ხშირად 300
მანეთსაც უღრის.

ვ. რცხილაძე.



მეფუტკრეს კალენდარი

(დასასრული *)

უწეს-რიგო, აქა-იქ ნაფანტი კვერცხი, ესე იგი როდესაც რამდენსამე უჯრაში კვერცხია ჩადებული, ან მატლი და მერე მთლად გამოტოვებულია უჯრები და კვლავ იწყობა ისევ ჩაკვერცხილი უჯრები, — ეს ნიშანია **დედის სიბერისა**.

სამუშე უჯრებში კუზიანი, ანუ სამამლე ბარტყის არსებობა მომასწავებელია: ან დედა ფუტკრის მეტის-მეტად **გადაბერებისა**, როდესაც მას, დიდი ხნის კვერცხის დებით, სათესლე ბუშტში მთლად ელევა მამლის თესლი და ეკარგება უნარი განაყოფიერებული სამუშე კვერცხის დებისა: ან არადა ასეთ სკაში გაჩენილნი უნდა იყვნენ **ცრუ-დედები**, რომლებსაც მხოლოდ სამამლე კვერცხის დება შეუძლიანთ ამ ორი მოსახრების გარდასაწყვეტად საჭიროა დედის მოხილვა: თუ ასეთს სკაში დედა იმყოფება, მაშინ კუზიანი მატლი დედის გადაბერებას უნდა მიეწეროს, თუ არადა — ცრუ-დედობის გამეფებას. ყოველს ასეთს შემთხვევაში საჭიროა უვარგისი დედობის გამოცვლა, ან მთელი ოჯახების შეერთება სხვა სკებთან.

რაც შეეხება **სამამლესა და ძველს ფიჭებს** მეფუტკრე უნდა ეცადოს, რომ მთლად მოსპოს, გააუქმოს იგინი, თორემ მათი არსებობა სკაში ზიანის მეტს არას შესძენს კაცს.

ფიჭის სიძველე გამოიხატება იმაში, რომ იგი შესამჩნევად შავდება, მძიმდება, უჯრები უპატარავდება და ეკა-

რგება გამჭვირვალდება. თუ ფიჭაში სინათლე აღარ გადის, იგი მაშ მეტად დაძველებულა და გამოსაცვლელია, სანთლათ გადასადნობია.

დედების მიცემა სკაში. საფუტკრის პირველი გაჩხრეკა-შემოწმების შემდეგ მეფუტკრის მოვალეობაა წაეშველოს უპირველეს ყოვლისა იმ ოჯახებს, სადაც ობლობა, ან უნაყოფო დედები და ცრუ-დედები შენიშნა, თორემ უამისოდ ასეთი ოჯახები მთლად დაიღუპებიან. ამისათვის საჭიროა რამდენიმე სათადარიგოთ ზედ-მეტი დედების ყოლა საფუტკრეზედ, რომ მეფუტკრეს შეეძლოს უვარგისი დედობის გამოცვლა და ობოლი ოჯახებისათვისაც ახალი დედების მიცემა. უბედურობა იმაშია, რომ მეფუტკრეს ხან არც ერთი ზედ-მეტი დედა არ მოეპოვება. ასეთს შემთხვევაში მხოლოდ ერთი-ღა რამ დარჩენია: — ობოლი, უდელო ოჯახები შეუერთოს მეზობელ ოჯახებს (იხ. ოჯახების შეერთება).

ახალი დედობის მიცემა როგორც უდელო სკაში, ისევე ბებერი დედობის ნაცვლად, ერთბაშად არას გზით არ შეიძლება.

საზოგადოდ ფუტკრები სცნობენ ერთმანეთს და თავის დედასაც სუნით და ამისათვის ახალი დედის მიცემის დროს უნდა ვეცადნეთ, რომ იგი (დედა) მთლად, თუ ასე შეიძლება ითქვას, გავუღწერთ იმ ოჯახის სუნით, რომელ ოჯახისათვისაც გვწადიან მისი მიცემა. ამ მიზნისათვის არის გამოგონილი სხვადასხვა ფორმის მავთუ-

*) იხილე „მოსავალი“ მე-7 №.



ლის მასრები—კოლოფები. ამ კოლოფებში ჰსხავენ დედას, ახდის პირს უხურავენ ან თავისივე ხუფით, ან თხელი სანთლით და ათავსებენ ორ ჩარჩოს შუა. ახლად მოვლინებული სტუმარი მართალია ციური მანანაა, ჰემ მარტი მხსნელი ამ ოჯახისა, მაგრამ უცხო სკის სუნის მექონე დედა სრულებით ვერ ანუგეშებს ობლობით დაკოდილს მათ გულს. მოსალოდნელი იყო, რომ დაობლებული ოჯახი, დედის შენიშვნისა გამო თავის კერაზედ, განუხაზღვრელს სიხარულს მიეცემოდა, მაგრამ არა:—მთელი მოსახლეობა, პირიქით, აღიჭურნენ დედის საწინააღმდეგოდ, რომელსაც ლუკმა-ლუკმა გაჰგლეჯენ, თუ რომ შეუვალი მავთულის ციხე არ ზღუდავდეს მას. გაბრაზებული ფუტკრები დიდხანს უბრუნენ გარს ამ კოლოფს, რომელშიაც დედა ამწყვდევია, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც მეციხოვნე დედა თანდითან ითვისებს ამ სკის სუნს, ფუტკრებიც წყნარდებიან და ადრინდელი შური-მტრობა სწრაფ ეცვლება მოკეთობაზედ და კეთილგანწყობილებაზედ; ახლა უკვე თვალ-საჩინო ზრუნველობით უბრუნენ გარს მავთულის კოლოფს, აშკარად ეტყობათ დედის ტყვეობიდან განთავისუფლების სურვილი! ხორთუმიტაც აწვდიან გარედგან საზრდოს.


ხშირად თავად ფუტკრები გადაღრდიან ხოლმე კოლოფზედ გადაკრულს სანთელს და დიდის ზეიმით გამოჰყავთ იქიდან დედა თითქოს ბუნებრივი სადედოდგან გამოეჩეკათ იგი. ხოლო თუ მეორე დღემდე ფუტკრებმა თავად ვერ შესძლეს დედის განთავისუფლება, მაშინ მეფუტკრემ თვითონ უნდა აუ-

ხსნას კოლოფს პირი: ასეთს შემთხვევაში ფუტკრები ხშირად შერბიან კოლოფში და ათავისუფლებენ დედას ტყვეობისაგან.

ასევე უნდა მოიგცეს მეფუტკრე ძველი, ნაკლებად ნაყოფიერი დედების გამოცვლის დროსაც, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ ასეთი უვარგისი დედები ორი-სამი დღის წინად უნდა ამოეცალნენ სკიდან და დაიხოცოს, რომ ოჯახს ახალი დედის მიცემამდე ნაგრძობი ჰქონდეს ობლობა, თორემ სხვაფრივ ძალიან გაძნელებდა ახალი დედის მიცემა.

რაც შეეხება ცრუ-დედოიანს სკებს უნდა დავძინოთ, რომ ასეთს ოჯახებში ახალი დედის მიცემა ვერასგზით ვერ მოხერხდება: ცრუ-დედები, რომელთა რიცხვი რამდენიმე ათეულია და ოცეულიც, უეჭველად მოჰკლავენ მას, რა ხერხითა და სიფრთხილითაც გინდა შეუერთოთ იგი ოჯახს. გარდა ამისა არც თუ მთელი ოჯახის შეერთებაა შესაძლო სხვა ოჯახთან, ვინაიდან ცრუ-დედები არც აქ იშლიან თავიანთ შხამ-გესლიანობას: შეერთების უმაღვე სიცოცხლეს უსპობენ ნაყოფიერ დედას იმ ოჯახისას, რომელსაც უერთებთ მათ.

ასეთი სკის შესაერთებლად მეფუტკრის ხელთ მხოლოდ ერთად ერთი საშუალებაა დარჩენილი: ამ სკას ადგილობრივ უნდა დაუბოლოს, ან რამდენსამე წამს ჯოხით უბრაზუნოს, რომ ფუტკრები მძიმეთ დაიტვირთნენ თათლით. შემდეგ გადაიტანოს მთელი სკა საფუტკრის ცოტა მოშორებით და თვითეული ჩარჩო დაბერტყოს გაშლილ ჰაერზედ. მთელი ფუტკარი ძველსავე ადგილას მოფრინდება, მაგრამ, აქ რომ ბინას ვეღარ იპოვიან, იძულებულნი



ხდებიან სხვა ოჯახებს შეეხიზნენ. ეს უკანასკნელი მათ ამა გზით არ შეუშვებდნენ თავიანთ სკაში, თუ რომ შეხიზნულებს ხელცარიელად გაეგებდნად იქ მისვლა, მაგრამ თურმე „ქრთამს აქაც უნანებია ჯოჯოხეთი“: თაფლით დატვირთულ სტუმრებს გულხელ გაშლილად იღებენ.

ოჯახების შეერთება. მეფუტკრეობაში ერთი შეუღრეკელი მცნებათაგანია: „უმჯობესია ერთი სკა გყვანდეს — და ღონიერი, ვიდრე ასი — და სუსტი“. მართლაც, ეს ერთი ღონიერი სკა ისე არ გაძუნწდება, რომა თავის სამყოფს სარჩოს გარდა, შენც არ გიწილადოს-რა; სუსტი სკა-კი არამცთუ ვერას გარგებს, პირიქით, მეფუტკრისაგან მოითხოვს ხელოვნურად გამოკვებას, ზეუმეტი ხარჯის გაწევას, და რამდენადაც მეტი იქნება ასეთი სუსტი სკები, იმდენად პატრონს უფრო მეტი ხარჯის გაწევა სჭირდება. ამისათვის სკების რაოდენობა დეე ნურავის გაიტაცებს: — ისა სჯობია რიცხვით ისევ ცოტა მყვანდეს ფუტკარი და **ღონიერი**-კი. ამ მოსაზრებით, როდესაც რომელსამე ფუტკრის ოჯახს ვამჩნევთ სისუსტეს, ან ობლობა — უდელობას და ზედ მეტი დედა-კი არ გვეგულებს, ასეთი ოჯახები აუცილებლად უნდა შევეუერთოთ სხვა ოჯახებს. ოჯახების შეერთება, როგორადაც დედების მიცემა, ერთბაშად არ შეიძლება. აქაც ცოდნა და ხერხია საჭიროა, თორემ ფუტკრებს ერთმანეთს ამოვახოციანებთ.

უპირველეს ყოვლისა ავარჩევთ ოჯახებს, რომლებიც საჭიროებენ შეერთებას. ასეთ ოჯახებად, რასაკვირველია, უნდა ამოირჩიეს უფრო სუსტი ოჯახები, რომ ორი სუსტი ოჯახიდან შეს-

დგეს ერთი ოჯახი, ფუტკრეობაში, ღონიერი. თუ ეს შესაერთებელი ძირები მოშორებით არიან ერთი მეორეზედ, ერთი მათგანი, მაგალითად: № 1, თანდითანობით, ყოველ დღე თითო არშინით უნდა მიუახლოვოთ და გვერდზედ ავეუკრათ მეორეს, მაგალითად № 17, რომელიც მუდამ თავის ადგილზედ იქნება დაუძვრელად. ამ გვარის ჩოჩვით ჩვენ თანდათან ვაჩვენებთ პირველი სკის ფუტკრებს იმ ადგილზედ ფრენა-მუშაობას, სადაცა დგას მეორე შესაერთებელი სკა — № 17; თორემ ეს სკა რომ აგვეწია და პირდაპირ იმ სიშორე მანძილზედ ერთბაშად გადაგვედგა მეორე სკასთან, № 1 სკის ფუტკრები ისევ ძველს ადგილზედ დაბრუნდებოდნენ და აქ, თავიანთ ბინას რომ ვეღარა ჰნახავდნენ, მეზობელ სკებში დაიწყებდნენ შესვლას და დაიღუბებოდნენ.

როდესაც ეს ერთი მხარე საქმისა უკვე შესრულებულია, ესე იგი შესაერთებელი სკები ერთმანეთთან არის მიტანილი, ახლა საჭიროა თვით შეერთების საქმეზედ გადასვლა. ამისათვის № 17-დგან ვიღებთ რამდენსამე ცარიელს ჩარჩოს, რომ აქ შეერთების შემდეგ, შეგვეძლოს № 1-ში აღმოჩენილი ჩაკვერცხილი ჩარჩოების მოთავსება. შემდეგ ამავე სკის (№ 17) მისაფრენთან აუფარებთ ტილოს, როგორადაც ვასრულებთ ამას ნაყრობას, და ორსავე სკას დაუბოლებთ, რის შემდეგ ფუტკრები აირევიან და ჩვეულებისამებრ დაესვვიან თაფლს. ასეთი არეულობით ჩვენც უნდა ვისაზრებლოთ: № 1-დგან ვიღებთ ჩამატლულ-ჩაკვერცხილს ჩარჩოებს, ვაცლით დედას და ფუტკრებიანათ პირდაპირ ვდგავთ № 17-ში;



დანარჩენ ჩარჩოებიდან-კი ვბერტყავთ ფუტკრებს აფარებულ ტილოზედ, რომლებიც შედიან სკაში, როგორც ბუნებრივი ნაყარი. ამ საქმის შემდეგ სასურველია ბოლის გამეორება.


მაგრამ ჩვენ უპირატესობას უფრო შემდეგ საშუალებას ვაძლევთ: შუადღიდანვე № 17-დგან ვაცლით 4-5 ჩარჩოს და ვყოფთ ამ ცარიელს ნაწილს მათეულის ბადით გადაკრულ ჩარჩოთი, რომელიც ისე მჭიდროდ არის გამოწყობილი სკის ბუდეზედ, რომ ფუტკარი ვერ ახერხებს ერთი განყოფილებიდან მეორეში გადასვლას. მეორე სკიდგანაც (№ 1) ვაცლით ჩარჩოებს და ვტოვებთ შიგ მხოლოდ იმდენს, რამდენიც შეგვიძლიან მოვთავსოთ № 17-ის ცარიელს განყოფილებაში. სადამოს ხანზედ, როდესაც ფუტკრები მთლად დაბინავდებიან, ოდნავ დაუბოლოებთ № 17-ს და მაშინვე № 1-დგან გადავაწყობთ ყველა ჩარჩოებს, ფუტკრებით გახუნწლოლებს. შემოდგან ორსავე განყოფილებებს მჭიდროდ ეხურება, ტილო რომ ფუტკრები არ გადავიდნენ ერთი ნახევრიდან მეორეში. ბადე-გადაკრულ ჩარჩოს წყალობით შეხიზნული ფუტკრებიც იღებენ იმ სკის სუნს, რომელსაც შეუფრთეთ და, მეორე დღეს რომ ამოიღოთ ეს ჩარჩო, იგინი უცხოობას ველარ შეატყობენ ერთმანეთს.

ქურდობა. ყველა სიკეთესთან ფუტკრებს ერთი დიდი ზნე სჭირთ.—ეს გახლავთ ქურდობა, ცარცვა-წართმევა მთელი სარჩოსი, საცა-კი ამას მოახერხებენ და ხელი მიუწვდებათ. ქურდობის სადერდელი ეშლებათ ფუტკრებს უფრო მაშინ, როდესაც მინდორში შეწყვეტილია საშოვარი ღალა, განსაკუთრებით-კი—ადრე გაზაფხულობით

და შემოდგომობით. ამ დროს მეფუტკრეს დიდი სიფრთხილე მართებს, რომ ფუტკრებს არ მისცეს ქურდობის საბუთი, ესე იგი საფუტკრეზედ არ დააქციოს თაფლი, მუშაობის დროს დიდხანს არ იქონიოს ახდილი სკა, თორემ, თუ საფუტკრეზედ გაძრიელდა ქურდობა, მერე ძალიან დიდი მცადინეობაა საჭირო, რომ შეაჩერო იგი-ადვილი შესაძლებელია მთელი საფუტკრის დაღუპვა.

საქურდლად დაღესილი ფუტკრები ადვილად იცნობიან: აჰხდი თუ არა სკას, იგინი იმ წამსვე იქ მოგეჭკრებიან, მეტის-მეტი გაფაციცებით იწყობენ სკასთან ფრენა-პროწილს, წამდაუწუმ ჩაეშვებიან სკაში, მაგრამ პანდურნაკრავნი სწრაფად ამარბიან ზევით. ამათ თანდათან სხვა ფუტკრები ემატებიან და, თუ ბოლი არ მიიშველე, ან მალე არ გაათავე მუშაობა, იქაურობა მთლად გაივსება ქურდი ფუტკრებით. საქმე იმაშია, რომ, როდესაც სხვა სკასთან გადასდინარ სამუშაოდ, ეს შავ-რახ-მელ ფუტკართა ჯარი აქაც არ გშორდება! აქ უფრო მეტის რიცხვით მოდიან იერიშით. მაშინ იძულებული ხდები დროებით შეაჩერო მუშაობა და რამდენსამე ადგილას გააჩინო დიდი ბოლი, თორემ ქურდობა ძნელი ასაცდენი იქნება.

თუ მაინცადამაინც საფუტკრეზედ ასტყდა ქურდობა, საჭიროა ყველა სკების მისაფრენების შემცირება იმდენად, რომ სკაში მხოლოდ ორ-სამ ფუტკარსლა შეეძლოს შესვლა-გამოსვლა. დაბრიყვებულს ოჯახს ადვილად შეუძლიან ამ გზით თავის დაცვა. თუ ასეთი ზომა ვერ შესძლებს ქურდობის ჩაქრობას, ნაცარცვი ოჯახი უნდა ჩაიკეტოს



და რამდენიმე დღით სადმე საფარში შეინახოს.

მშვენიერად მოქმედობს ის ხერხიც, როდესაც ორთავე სკას—ყაჩაღსაც და დაბრიყვებულსაც უცვლით ადგილებს, ესე იგი ერთი სკა გადავაქვთ მეორის ადგილზედ.

სითბოსათვის ზრუნვა ნაყოფიერი დედა კვერცხის დებას იანვრიდანვე იწყებს, თუმცა, რასაკვირველია, სუსტად, იმ ვარაუდით, რომ ფუტკრებმა შესძლონ თავინთისიმრავლით ჩაკვერცხილი უჯრების მთლად დაფარვა და მით შესაფერი სითბოს დაცვა სკაში, ურომლისოდ, როგორადც ყოველ შემთხვევაში, კვერცხის გამოჩეკა ყოველად შეუძლებელი ხდება. ამ საქმისათვის უფრო ზედმეტი ზრუნვა გვექირვება ადრე გაზაფხულზედ, რომ არც

კვერცხები დაგვიცივდეს და ედებოდნენ უფრო მეტი ხალისით შესძლიონ ნაკრები ფიერების გამოჩენა.

ამ მოსაზრებით სკების გაჩხრეკა-შემოწმების დროს საჭიროა ბუდის შევიწროება: სკებიდან დაუყოვნებლად უნდა ამოეცალოს ზედმეტი ჩარჩოები, ესე იგი ყველა ის ჩარჩოები, რომლებზედაც არა სხედან ფუტკრები; შემდეგ ჩადგას სკაში ბუდის გამყოფი ფიცარი და შემოდამაც მოუშორებლად ვიქონიოთ სათბუნებელი ბალიშები. სასარგებლოა აგრეთვე მისაფრენების შევიწროებაც. ერთის სიტყვით, სითბოს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ბარტყის აღზრდა-გამძვინვარების საქმეში და ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ რომ იგი საკმარისად ჰქონდეს სკებს.

მდ. ალ. ჯალიაშვილი

განცხადებანი

სასტატისტიკო ბიურო კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა სთხოვს კორესპონდენტებს რომ კეთილ ინებონ და გამოგზავნონ ან ჟურ. „**მოსავლის**“ სახელობაზე, ან თვით კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სახელობაზე ცნობები შესახებ იმისა, როგორი ზამთარი იყო წელს: როდის დაიწყო სიცივეები, რამდენად ხშირად მოდიოდა თოვლი ან წვიმა, რამდენ გრადუსამდე უწია ყინვამ, რამოდენა სიღრმეზე გაიყინა ნიადაგი?

წლევანდელი ზამთარი განსხვავდებოდა წარსული წლებიდან თუ წარსულ წლებშიაც იყო ესეთი ზამთარი?

როგორ იმოქმედა წლევანდელმა ზამთარმა ხეხილზე, ვაზზე, ჯეჯილზე, ფუტკარზე და სხვა?.

ესლა როგორი პირი უჩანს, ყანებს, ვენახებს და ხილის ბაღებს?

გაზაფხულის მუშაობა თავის დროს დაიწყო წლეულ, თუ სიცივეებისა გამო დაიგვიანა?

როგორ გაიყვანა ზამთარი საქონელმა, დიდი თოვლიანობის გამო საქმელი ხომ არ შემოაკლდა, ხომ არ დაზარალდა და სხვა?

რედაქ.-გამომცემელი **ვ. ი. რცხილაძე**